

## ვეროპული მთარგნელთა-კოლეგია შტრალენში

შტრალენში ვერც ვერავინ გასწავლის თარგმნას და ვერც ვერავინ გადაგათარგმნინებს, აქ „მხოლოდ და მხოლოდ“ თავად უნდა თარგმნო, მაგრამ საუკეთესო, იდეალურ პირობებში. შტრალენში მსოფლიოს ყველა კუთხიდან მოდიან მთარგმნელები, გამომცემლობის მიერ ხელშეკრულებით მიცემული, უკვე კონკრეტული სათარგმნი პროექტით, რათა ამ პროექტის განსახორციელებლად თარგმანისათვის აუცილებელი საუკეთესო საშუალებები გამოიყენონ, შეხვდნენ კოლეგებს, გაესაუბრონ, გაუზიარონ ერთმანეთს გამოცდილებები.

თავდაპირველად ეს იყო მხოლოდ ოცნება: შექმნილიყო ლიტერატურული მთარგნელებისათვის შეხვედრის ადგილი, ადგილი კოსმოპოლიტური გაცვლა-გამოცვლისათვის, ასევე კონცენტრირებული მუშაობისათვის, შექმნილიყო უამრავი სხვადასხვა წერის კულტურის კერა, სახლი სასაზღვრო რეგიონში.

ამ ოცნების აღმოცენებიდან ოცდაათი წლის მერე, ოცნება აშკარა რეალობად იქცა. „შტრალენის ვეროპული მთარგნელთა-კოლეგია“ შეიქმნა 1978 წელს, უპირველეს ყოვლისა შტრალენში დაბადებული ბეკეტის მთარგმნელის ელმარ ტოპპოვენისა და ლიტერატურული მთარგმნელთა კავშირის მაშინდელი თავმჯდომარის, მთარგმნელის კლაუს ბირკენჰაუერის ინიციატივით, ასევე სამუელ ბეკეტის, ჰაინრიხ ბიოლის, მაქს ფრიშის უშუალო მფარველობით. ეს არის პირველი და უდიდესი სამუშაო ცენტრი ლიტერატურული და ჰუმანიტარულ-მეცნიერული წიგნების მთარგმნელებისათვის.

1978 წლიდან მთარგმნელთა კოლეგია მნიშვნელოვნად გაიზარდა. შენობა მოიცავს 2500 კუადრატულ მეტრ საცხოვრებელ ადგილს –ბიბლიოთეკებით, სხდომათა ჩასატარებელი ოთახებით, ორი კომფორტაბელურად მოწყობილი სამზარეულოთი, 30 სამუშაო და საცხოვრებელი აპარტამენტით.

კოლეგიის ასე ვთქვათ ნამდვილ გულს წარმოადგენს უმდიდრესი ბიბლიოთეკა, 110 000 წიგნით. აქ მოსულ სტუმარს ეძლევა შესაძლებლობა იხილოს და გამოიყენოს 25 000 ლექსიკონი თითქმის 275 ენასა და დიალექტზე (დაწყებული აფრიკიდან დამთავრებული ზულუმდე), 60 000 მსოფლიო ლიტერატურის ნაწარმოებები, 25 000 დარგობრივი ლიტერატურა, როგორც ორიგინალში, ასევე თარგმანშიც. კოლეგიის ბიბლიოთეკა მსოფლიოში ცნობილ, უდიდეს ბიბლიოთეკადაა მიჩნეული.

აქვეა 40 თანამედროვე ტიპის კომპიუტერი, ასევე ტასტატურების დიდი არჩევანი სხვადასხვა ენების შრიფტებით. კოლეგია მომხმარებელს სთავაზობს წლის 365 დღის, დღე-ღამის განმავლობაში ინტერნეტით მომსახურებას.

დღესდღეობით შტრალენში წელიწადში ჩამოდის 750 მთარგმნელი მსოფლიოს ყველა კუთხიდან. წლის განმავლობაში იქმნება 16 000 თარგმანი.

შტრალენი, ეს არის პატარა სასიამოვნო ქალაქი ნიდერლანდის საზღვართან. ქალაქის ირგვლივ გაშენებულია ყვავილები და ბოსტნეული. შტრალენს რომ „ყვავილების ქალაქს“ უწოდებენ, ეს სულაც არ არის შემთხვევითი. არსად გერმანიის სხვა კუთხეში არ იქნება იმაზე მეტი ყვავილი და ბოსტნეული, რაც შტრალენშია.

საკონტაქტო მისამართი

გთხოვთ შეკითხვით მოგვმართოთ გერმანულ ან ინგლისურ ენებზე:

ევროპული მთარგმნელთა კოლეგია  
ქუშტრასე 15-19, 47638 შტრალენი  
ტელ: 02834 – 1068, ფაქსი: 02834-7544  
ელ.ფოსტა: [euk.straelen@t-online.de](mailto:euk.straelen@t-online.de)

*Ins Georgische übersetzt von Maia Mirianaschwili*